№ 198
ხუთშაბათი, 13 სექტემბერი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12. . .	10 —	6 . . .	6 —
11. . .	9 50	5 . . .	5 50
10. . .	8 75	4 . . .	4 75
9. . .	8 —	3 . . .	3 50
8. . .	7 25	2 . . .	2 75
7. . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

ივერია

№ 198
ხუთშაბათი, 13 სექტემბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

ექიმი-ქალი მ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი.—საქირურგო, 12½—1½ საათ. სამშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ექიმი
ვასილი მიხეილის-ძე
მანსვეტოვი

იღებს ყოველ დღე, გარდა კვირა დილისა, ავადმყოფებს შინაგან, ძარღვებისა, საბავშვო და ვენერიულ ავადმყოფობით.

ვოლოვოზნი ქუჩა, ს. ახვერდოვისა, № 29, ძველი სახელმწიფო თეატრის ახლო.

(20—187—13).

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ტერ-აპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვებისავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 საათ.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ახალი ამბავი

—

⁂ დღეს, 13 სექტემბერს, სადოლო მოედანზედ დიდუბეში მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებს ინახულებს. ჯარების ნახვას დაესწრება აგრეთვე მისი უდიდებულესობა საბერძნეთის დედოფალი ოლგა კონსტანტინეს ასული.

⁂ თანახმად 4 ივლისს უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა კომიტეტის დებულებისა, კავკასიის მთავარმართებელს თავ. გოლიცინს ქალაქის საბჭოს წევრების ასარჩევად ტფილისი სამ ნაწილად გაუყვია. პირველს საარჩევნო ნაწილში მიუქცევია 1, 2, 3 და 4 პოლიციის ნაწილი, მეორეში—5, 6 და 7, მესამეში—8, 9 და 10 ნაწილი.

⁂ მომავალის წლის დამდეგს განზრახვა აქვთ კავკასიელ მკურნალთა კრება მოიწვიონ. კრებაზედ განხილულ იქმნება ის საგანი, თუ კავკასიის სამკურნალო წყლებისა და ადგილების საქმე უკეთ როგორ უნდა მოეწყოს.

⁂ როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, თუ ვისმე მკეთროვანისა, ცოფიანისა და სულით ავადმყოფის რკინის გზით წაყვანა ჰსურს, 48 საათით ადრე თურმე უნდა განუცხადოს ეს რკინის გზის გამგეობასა ან სადგურის უფროსს. ცოფიანს, თუ რომ ორ კვირაზედ მეტი არ გასულა, რაც დაუკბენიათ, ერთი კაცი უნდა გააყოლონ უთუოდ, წინააღმდეგს შემთხვევაში ორი კაცი. ორსავე შემთხვევაში ცოფიანს ცალკე განყოფილება უნდა ჰქონდეს დათმობილი. მკეთროვანსაც ასევე ცალკე განყოფილება უნდა ჰქონდეს დათმობილი და თან ერთი კაცი გააყოლონ.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობის მდივნათ ქალაქის საბჭოს წევრად ნამყოფი პ. მ. იაკიმოვი დაუნიშნიათ.

⁂ ოქონის სოფლის საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს, რომ აღნიშნულს სოფელში კერძო საავადმყოფო თავშესაფარი იქმნეს გახსნილი.

⁂ საიუბილეო დღესასწაულობისათვის 25—28 სექტემბერს ორი კამარა იქმნება შეკრული: ერთი ვოკზალის მახლობლად, მეორე გოლოვინის პროსპექტზედ, სამხედრო-საისტორიო მუზეუმის მახლობლად.

⁂ მარტყოფის სასოფლო საავადმყოფოს გამგეთ საგუბერნიო სამკურნალო სამართველოს მკურნალი იაგულოვი დაუნიშნავს.

⁂ ვაკეების პირველს საკვირაო სკოლაში სწავლება წარსულს კვირას დაიწყო. სწავლის მსურველთ შეუძლიანთ ამ კვირასაც ჩაეწერნენ სკოლაში.

⁂ სახელმწიფო საბჭოს წევრი ბ-ნი იანოვსკი აბასთუმნიდგან ტფილისში დაბრუნდა.

⁂ როგორც გაზ. „Нов. Обоз.“-ს ატყობინებენ, ქუთაისის საგუბერნიო მკურნალის თანაშემწე გუბერნიის სხვა-და-სხვა ადგილებში წასულა სარევიზიოდ, მაგ. ახალ-სენაკსა, ზუგდიდსა, სოფ. წალენჯიხსა, კურსებსა, ბელოგორსა, ამბროლაურსა, დაილაშსა და ქედაში,

⁂ როგორც შევიტყეთ, საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან ასის წლის შესრულებისა გამო განზრახულ საიუბილეო დღესასწაულებზე დასასწრებლად პეტერბურგიდგან ჩამოვა თურმე უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგი ბ-ნი საბლერი, რომლის მისაღებადაც იმ დროსათვის ტფილისში ჩამოვლენ აგრეთვე საქართველოს ყველა ეპისკოპოსები.

⁂ კავკასიის მეურნეთა და მებაღეთა კრებების წევრნი დღეს, 13 სექტემბერს, ჩაქვის საუფლისწულო მამულისა, საქარის სანერგესა და სკრის მამულის დასათვალიერებლად წავლენ საგანგებო მატარებლით.

⁂ როგორც სოფ. ხაშმიდგან (ტფილისის მაზრა) იტყობინებიან, ამ ჟამად იქ ქუნთრუშა მძვინვარებს თურმე, რომელიც ახალგაზრდობას საშინლად მოსდებია.

⁂ ხვალ, 14 სექტემბერს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში, საღამოს 8 საათზედ, დანიშნულია სხდომა კავკასიის პრესის წარმომადგენელთა, რომელზედაც გამორკვეულ უნდა იქმნეს დროგამოშვებით გამოცემათა სხვა-და-სხვა საჭიროებანი და შემდეგ ამის შესახებ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას მოხსენება წარუდგინოს.

⁂ დღეს, 13 სექტემბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიას სხვა-და-სხვა საქმეების განსახილველად სხდომა ექმნება.

⁂ ტფილისის სააბრეშუმო სადგურის დარბაზში, 11 სექტემბერს, შესდგა სხდომა მერვე სექციისა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიკოლოგის ბ-ნის იაჩევსკის თავმჯდომარეობით. სხდომაზედ განხილულ იქმნა ტფილისის სააბრეშუმო სადგურის გამგის ბ-ნის შავროვის მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყოს საქმე, რომ მცენარეულებათა მავნე მწერებისა და ავადმყოფობის მოსასპობად დაწყებულმა ბრძოლამ შესაფერი ნაყოფი გამოიღოს. ბ-ნის შავროვის აზრით, უნდა დაარსებულ იქმნეს სამინისტროსაგან მავნე მწერებთან მებრძოლი უმთავრესი დაწესებულება კომიტეტითურთ, რომელსაც სპეციალისტები უნდა შეადგენდნენ. კომიტეტს ეყოლება რამდენიმე ან ერთი ინსტრუქტორი თვითოეულს გუბერნიაში ავადმყოფობის გამოსარკვევად ადგილობრივ. აღნიშნულ მწერებთან ბრძოლამ რომ უფრო კეთილი ნაყოფი გამოიღოს, კამიტეტს ადგილობრივ მემამულეებთან მახლობელი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს და ყველა მავნე მწერები გამოსაკვლევად კომიტეტს ეგზავნებოდეს დაუყოვნებლივ. მწერებთან ბრძოლის დროს მემამულეებს ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ საგუბერნიო ინსტრუქტორებმა. საზოგადოდ კრებამ მოიწონა პროექტი დ სურვილი ქამოსთქვა, რომ სამინისტრომ ასეთი დაწესებულება შექმნას, რომელიც, ეჭვი არ არის, დიდს ნაყოფს მოუტანს ხალხს მოსავლის დამუშავება-მოყვანის დროს, თუ კომიტეტი და მისნი წარმომადგენელნი თავისს დანიშნულებას პირნათლად შეასრულებენ.

⁂ როგორც ბალაჯარის სადგურიდგან იუწყებიან, 10 სექტემბერს, დილის 10 საათზედ, საქონლის მატარებელი № 166 სადგურზედ მისვლის დროს საქონლის მატარებელს №179 დასჯახებია და დაჰმტვრევია 7 ვაგონი და ორთქლმავალიც ლიანდაგიდგან გადავარდნილა. ხალხი არ დაზიანებულა.

⁂ დღეს, 13 სექტემბერს, ტფილისის ოლქის სისხლის სამართლის 1 განყოფილებაში შემდეგი საქმეებია დანიშნული გასარჩევად: სტეფანე ტერ-არუთინოვისა, რომელსაც 1480 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენა ედება ბრალად, იბრაგიმ-აღა-ხალიმ-ოღლისა, რომელსაც ნამაზ ისმაილ-ოღლის მოკვლა ჰბრალდება, გიორგი სტეფანოვისა—ქურდობის ჩადენა ჰბრალდება დ ნოქაილ-ალახვერდი-ოღლისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ჰბრალდება.

კავკასიის გამოფენა.

—

მეფუტკრე ბ-ნი საზო მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის განყოფილებაში გამოფენაზედ რამდენისამე ლექციის წაკითხვას აპირებს მეფუტკრეობის შესახებ.

⁂

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ბ-ნი ერმოლოვი გამოფენის სანახავად თურმე აღარ ჩამოვა.

⁂

გუშინ გამოფენის საზოგადო პავილიონში ბევრს ალაგას წვიმა ჩამოვიდა, ამის გამო ზოგან მთლად ექსპონატები არივ-დარიეს.

⁂

გუშინ, დიდის ავდრისა გამო, კავკასიის გამოფენას ძალიან ნაკლებად დაესწრო ხალხი.

დამაკვირდი.

—

ჭეშმარიტი ქება—ვალის გადახდაა, პირფერა-ქება-კი ქრთამია.

—

ტყუილი მით უფრო საშიშარია, როცა შიგ ერთი წვეთი მართალი ურევია.

ეშენბახი.

—

ერთისა და იმავე ყვავილისაგან ფუტკარს თაფლი გამოაქვს და ბებერას შხამი.

ოცდახუთი წელიწადი ამიერ-კავკასიის საოსტატო სემინარიის არსებობისა *).

—

საოსტატო სემინარია, როგორც ყველას მოეხსენება, სპეციალური პედაგოგიური სასწავლებელია. ამან უნდა მოამზადოს მასწავლებელნი სასოფლო სკოლებისათვის; ამის გამო აქაურ სასწავლო საგანთა შორის ფსიხოლოგიას და პედაგოგიკას უჭირავთ ერთი უმთავრესი ადგილთაგანი. სიმართლე მოითხოვს ვაღიაროთ, რომ ეს საგანნი, მომეტებულად ჩინებულად იყვნენ დაყენებულნი. მოსწავლენი სწავლობენ პედაგოგიას და ფსიხოლოგიას არა რომელისამე უსიცოცხლო და უაზრო სახელმძღვანელოს შუამავლობით, არამედ კითხულობდნენ წარჩინებულ პედაგოგთა და ფსიხოლოგთა თხზულებით, ითვისებდნენ ამ თხზულებათა შინაარს, იხსომებდნენ მათში გამოთქმულ მოძღვრებათა პრინციპებს.

ასეთი სწავლება საგნისა, რაღა თქმა უნდა, კარგი და მოსაწონია, მაგრამ მომავალი მასწავლებლისათვის მხოლოდ ესეთი ცოდნა, რასაკვირველია, საკმარისი არ არის. ეს მარტოოდენ თეორიული სწავლაა, რომელიც უპრაქტიკოთ, განუხორციელებლად ცხოვრებას ვერავითარ სიკეთეს ვერ შესძენს. რომ თეორია საქმეთ გარდიქცეს და ამ საქმიანობის მოხერხებით, უნარით აღიჭურვოს მოსწავლე, ამისათვის სემინარიაში დაარსებულია დაბალი, პირველ-დაწყებითი სკოლები.

ამ სკოლების პატარა მოსწავლეებს გაკვეთილებს აძლევენ, სხვათა შორის, სემინარიის უფროსი კლასის მოსწავლენი. იგინი ორი-სამი დღის წინათ, სკოლის მასწავლებლის ხელმძღვანელობით, სწერენ გაკვეთილის დაწვრილებით კონსპექტს; ამ კონსპექტს განიხილავს სემინარიის რომელიმე მასწავლებელი, გაუსწორებს, თუ საჭიროა, დარიგებას მისცემს. შემდეგ მოსწავლე მიდის დაბალ სკოლაში და აქ აძლევს გაკვეთილს.

გაკვეთილს ესწრებიან სკოლის მასწავლებელი, ერთი რომელიმე მასწავლებელი სემინარიისა და ამხანაგები გაკვეთილის მძლეველ მოსწავლისა. როცა გათავდება გაკვეთილი, მაშინ ყველა აქ დასწრე პირნი შეიკრიბებიან ერთად და არჩევენ მიცემულის გაკვეთილის ღირსებასა და ნაკლულევანებას. ამ დროს შედგენილი დასკვნანი იწერებიან განაჩენებით, რომელთაც შემდეგ მოსწავლენი ამბობენ ზეპირად მთელი პედაგოგიური კრების წინაშე. ამ ნაირად მიდის საქმე მთელი ერთი წლის განმავლობაში.

ცხადია, რომ მოსწავლეს, რომელსაც ამ გვარ გარემოებათა შორის, მიუცია ოცდა-ხუთიოდე გაკვეთილი, წლის გასულს საკმაო გამოცდილება ექნება შეძენილი. თეორია, პრაქტიკა დ გამოცდილება— აი ის პედაგოგიური საუნჯე, რომლითაც სემინარიის მოსწავლე გამოდის ცხოვრებაში. ამნაირად გამოსულან ცხოვრებაში სემინარიიდამ 373 მოსწავლე და თან გაუტანიათ ის მოძღვრებანი, გრძნობანი და მისწრაფებანი, რომელნიც ჩანერგა მით გულში მათმა აღმზრდელმა მასწავლებელმა.

დღეს ისინი მოფენილნი არიან მთელს ამიერ-კავკასიას და მოციქულებრივის თავდადებით ეწევიან მძიმე, მაგრამ მადლიან უღელს, რომელსაც ზნეობრივი მოვალეობა ჰქვიან სახელად. ბედნიერია მხოლოდ ის ადამიანი, რომელიც საფლავის კარამდე ამ წმინდა მოვალეობას პირნათლად ემსახურება!

—

გარდა იმ პრაქტიკული ცოდნისა, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ, სემინარიაში ასწავლიან ყდების კეთებას, აბრეშუმის ჭიის და ფუტკრების მოვლასა, სადურგლო ხელობასა და მეურნეობას.

ყდების კეთებას სწავლობენ დაბალი კლასის მოსწავლენი და ორი წლის განმავალობაში ისე ხელოვნდებიან ამ საქმეში, რომ ყველანი თავიანთ წიგნებს თითონვე უკეთებენ ყდებსა.

სადურგლო ხელობაც ისეა დაყენებული, რომ სოფლის მომავალ მასწავლეპელს, ქონებით ღარიბს და ხშირად უცხო მხარეს მივარდნილს უბრალო საქმის გამო არ მოუხდეს დურგლის ძებნა. პირველად აკეთებენ უბრალო და გამოსადეგ ნივთებს, მაგ. სახაზავს, ყუთს, სკამს, სტოლს, სურათებისათვის ჩარჩოებს და სხვათა. ზოგი ისე გავარჯიშდება ხოლმე დურგლობაში, რომ აკეთებენ მეტად რთულსა და ფასიან ნივთებს, მაგ. წელს ერთმა მოსწავლემ გააკეთა ჯარა, სხვებმა სკები და სხ. თვითეული მოსწავლე აკეთებს ოც-და-ათამდე სხვა-და-სხვა ნივთებს, და ყველა ეს ნივთები საჩუქრად მიეცემა ხოლმე მას, როდესაც ასრულებს სწავლას სემინარიაში.

დიდის ყურადღებით და მეცადინეობით სწავლობენ მოსწავლენი აბრეშუმის ჭიის მოვლას, აბრეშუმის კეთებას. ამ საქმისათვის სემინარიაში, აშენებულ იქმნა დიდი, ნათელი ოთახი, რომელშიაც ყოველ გაზაფხულზე იწყება ხოლმე აბრეშუმის ჭიის მოვლა. მოსწავლენი რამდენსამე წყობათ არიან დაყოფილნი და ყველანი რიგ-რიგად მოდიან ამ ოთახში, თვალყურს ადევნებენ, რომ ოთახში შესაფერი სითბო იყვეს. ჰკრეფენ თუთის ფოთოლს, მოაქვთ და თავის დროზე აძლევენ ჭიას საკვებსა. სხვა-და-სხვა სტოლზე სხვა-და-სხვა ჯიშის ჭიაა... მაგ. ბაღდადური, იტალიანური, ჩინური, იაპონური, ფრანგული, ადგილობრივი და სხვ. წელს დარჩა სემინარიას 51½ გირ. აბრეშუმი.

სემინარიის ცხოვრებაში შესამჩნევი ადგილი უჭირავს მეურნეობასაც. სემინარიას აქვს უმაღლესად ნაბოძები თითქმის ოთხი დღიური მიწა, რომელიც მოსწავლეთა შრომით ამ ჟამად საუცხოვო ბაღათ არის გადაქცეული. რამდენსამე ჯგუფათ დაყოფილი მოსწავლენი ყოველ სამუშაო დღეს რიგ-რიგად მოდიან და მებაღე-მასწავლებლის ხელმძღვანელობით მუშაობენ ამ ბაღში.

ამ ბაღიდამ ყოველ წლივ მსურველს შეუძლიან წაიღოს როგორც მწვანილის თესლეულობა, ისე პატარა დამზადებული ნამყენები. მაგ. წარსულ წელიწადს ბაღიდამ დაურიგდათ სხვა-და-სხვა თესლეულობა როგორც სემინარიაში მყოფ პირთ, ისე მოქალაქეთა და სოფლებს 4 ფ. 1 გ. და 25 მ. ფულად რომ გადვიღოთ, ეს თესლეულობა ღირს 320 მან. მოჰყავთ დიდძალი მწვანილეულობა, ამყნობენ და უვლიან ხეხილს. ამავე ბაღში დგანან სკებიც... ზოგიერთი მოსწავლე [illegible]ბულად სწავლობს მეფუტკრეობას და, ეჭვი არ უნდა, ეს ფრიად გამოსადეგი ცოდნა ბევრს სიამოვნებასა და სარგებლობას შესძენს შემდეგში.

—

ამიერ-კავკასიის საოსტატო სემინარიას მრავალჯერ მიუღია მონაწილეობა რუსეთსა, თუ რუსეთის გარეშე მომხდარ გამოფენაზე და ყოველთვის მისგან წარდგენილი ექსპონატები ქებისა და მოწონების ღირსად უცვნიათ. 1882 წ. მოსკოვის გამოფენაზე სემინარიამ მიიღო დიპლომი მეორე ხარისხისა. 1889 წელს კავკასიის სამეურნეო გამოფენაზე მან მიიღო აგრეთვე მეორე ხარისხის დიპლომი. 1897 წ. 1898 წ. და 1899 წლებს კავკასიურ გამოფენებზე სემინარიამ მიიღო 11 დიპლომი და მედლები—ოქროსი, ვერცხლისა და ბრინჯაოსი.

ამავე დროს სემინარიის დირექტორმა მიიღო ოქროს დიდი მედალი; აბრეშუმის ჭიის მომვლელთა ხელმძღვანელმა მასწავლებელმა—ოქროს პატარა მედალი; ბაღში მუშაობის ხელმძღვანელმა ორმა მასწავლებელმა ვერცხლის პატარა მედლები. 1900 წ. პარიჟის მსოფლიო გამოფენაზე სემინარიამ მიიღო ოქროს მედალი, ხოლო მისმა დირექტორმა—ვერცხლისა.

ბ-ნი ფორმაკოვსკი, რომელიც პარიჟის გამოფენის რუსული განყოფილების ერთი უმთავრესი გამგეთაგანი ბრძანდებოდა, აი რასა სწერს ამიერ-კავკასიის საოსტატო სემინარიაზე: „პარიჟის მსოფლიო გამოფენაზე კავკასიის სასწავლო ოლქის ექსპონატები იზიდვენ განსაკუთრებულს ყურადღებასა... მაგრამ

---

*) იხ. „ივერია“ № 197.

ფელეტონი

—

სოფლად

ნაფიქრი და ნანახი.

II.

ჩვენი გაზეთი არასოდეს წინააღმდეგი არა ყოფილა, რომ ქართველობა, სასოფლო მეურნეობის გარდა, მრეწველობისა და აღებ-მიცემობის უღელშიც შეებას. ასეთი წინააღმდეგობა უადგილო და შეუსაბამოც იქმნებოდა, რადგანაც დროთა ვითარება და ცხოვრების საჭიროება ცხად ჰყოფს, რომ მეურნეობას გვერდიდ უნდა მოუდგეს მრეწველობა და აღებ-მიცემობა. ამიტომ ცალიერი სიცრუე და ჭორია, როცა „ქართულ პრესის“ ავტორი ამბობს, ვითომ— „ივერია“ ქართველობას ურჩევდა, ქალაქი, მრეწველობა, აღებ-მიცემობა რა ჩვენი საქმეა, ჩვენ სოფლელები ვართ და სოფლებში უნდა დავრჩეთო, ე. ი. ქალაქიდგან სოფლათ გვერეკებოდა“ (გვ. 91). აბა დაგვისახელონ — სად და როდის ურჩევდა „ივერია“ ასეთს უკუღმართობას!. რა საკადრისია ასეთი ცილის-წამება? „ივერია“ ებრძოდა მხოლოდ იმ უკიდურესობას და წრეს გადასულ მოძღვრებას, რომელიც ერის ცხოვრების დასაბამად და დასასრულად საეკონომიო პრინციპს ჰხადის და მარტო კაპიტალიზმის გაჩენასა და აღორძინებაში ჰპოვებს ქვეყნის ბედნიერებას. მაგრამ ჩვენი გაზეთი სრულიადაც არ უარ-ჰყოფდა მრეწველობას და აღებ-მიცემობას, ქალაქიდგან სოფლად არავის არ ერეკებოდა. პირ-იქით, „ივერია“ იმ ფიქრსა და დარდში იყო, რომ ქალაქნი ხელიდგან გვეცლებიან და ამ „ჟამთა სიავეს“ როგორ უნდა მოუაროთო...

დიაღ, „ივერიას“—თითქო მომაკვდინებელი ცოდვა ჩაედინოს— უკიჟინებენ „სოფლურს მიმართულებას“, რომელშიც, „კვალის“ მშვენიერის ქართულით, „არ შედიან სამოქალაქო კითხვები“... ამ კიჟინს კიდევ ჯანი გავარდეს. საყურადღებო უფრო ის არის, რომ „სოფლური მიმართულება“ რაღაც შავ-ჭირად მოსჩვენებიათ და ახალგაზდა ჯანაოზებს იწვევენ საბრძოლველად—„ეს ორგანო („ივერია“) არც მიმართულებით და არც ნიადაგით ჩვენი დროის პროგრესიულ მიმდინარეობას არ შეესაბამება და ამიტომ ჩვენი დროის მოწინავე მოღვაწე მოვალეა მას შეებრძოლოსო“ (იქვე გვ. 89, 117). აკი ეს „მოწინავე მოღვაწენი“ გვებრძვიან კიდეც, თუმცა ესეც-კია, რომ ასეთი ბრძოლა უფრო მამლაყინწობას მიაგავს და სიცილად არა ჰყოფნის გონება დამჯდარ საზოგადოებას. მაგრამ „სოფლურს მიმართულებას“ ხელის შეშლა და ბრძოლა-კი არა, დახმარება და წინ-გაძღოლა ესაჭიროება. ამოდენი ხანია სოფელი იზიდავს ჩვენის ლიტერატურის ყურადღებას და ახლაც სავსებით არ ვიცით სოფელი. უთვალავი კორრესპონდენციები და წერილები, რომლებიც ჟურნალ-გაზეთობაში იბეჭდებიან, უმეტესად სოფლის გარეგანს სურათს ვვიხატვენ, ხოლო სოფლის სული და გული აქამომდე დუმილით მოცულია და დაფარული.

სოფელი უნდა გაქალაქდესო... მაგრამ „სოფლური მიმართულება“ რომ სასაცილოდ არ დაეჭირათ და იმის წინააღმდეგ საბრძოლველად „მოწინავე მოღვაწენი“ არ აღემხედრათ, აშკარად დაინახავდნენ, რომ სოფელმა, დიდიხანია, თავისებური ,,გაქალაქება'' დაიწყო. ეს ამბავი კი გამოეპარათ ჩვენს ვაჟ-ბატონებს და გამოეპარათ იმიტომ, რომ, იმათის აზრით, „სოფლურს მიმართულებაში არ შედიან სამოქალაქო კითხვები.''

დიაღ, სოფელი დიდიხანია ქალაქდება. თუმცა ქართლელი სოფლელი და გლეხი *) საზოგადოდ დიდი „კონსერვატორია“, მეტად შინ ჩაკეტილი და კარზედ გაუსვლელია, მაგრამ გაჭირვებამ და მიმოსვლის გაადვილებამ ისიც გარედ გამოიყვანა და ქალაქისკენ პირი აქნევინა. გლეხობა ასობით და ათასობით ქალაქად მიეშურება და აქ, ამ ქალაქში, ითვისებს ახალს, ქალაქებურს ზნესა და აზრს და გადახალისებული, აღსავსე ,,სამოქალაქო კითხვებით“ მერე ისევ სოფლად ჰბრუნდება. სოფელსაც გაქალაქების ფერი და იერი ედება.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენს მაღალ საზოგადოებას, დიდ-კაცობას თავდაპირველად განათლება, „გაევროპიელება“ გარეგნობით მოევლინა. სოფლელს და კერძოდ გლეხსაც ეგრე დაემართა. ჩვენი სოფლელი და გლეხი „მოქალაქეობას“ ჯერ-ჯერობით გარეგან ზიზილ-პიპილებში ჰპოვებს, იმის ყურადღებას მხოლოდ ქუჩა და „ტრაქტირი“ იზიდავს, იგი გემოსა და კმაყოფილებას „კინტოურს“ ზნესა და ჩვეულებაში ჰხედავს. ეს საკვირველიც არ არის. ქალაქად გადავარდნილი გლეხი მოკლებულია ყოველგვარ საღს და სასარგებლო ზნეობრივს გავლენას და დატოვებულია ქუჩისა და დუქნის ანაბარად.

გლეხის სახლსა და სამკაულს ცხადად დაეტყო გაქალაქება. გლეხი მიწიდგან ზეზე ამოვიდა და თავისი სადგური შეამკო „სკამით“, „ლამპით“, „სტოლით“ და სხვა-და-სხვა „სატრაქტირო“ სურათებით. ყოველივე ეს და სხვა ამგვარი მოწყობილება „განათლებად“ აღიარებულია და როცა სოფელში იტყვიან—ესა და ეს გლეხი „განათლებულად“ სცხოვრობსო, ამით გარეგნად გაქალაქებულს სახლს და ამის მორთულობას იგულისხმებენ. ხოლო ძველებური ცარბაზი ხშირად სათაკილოდ მიაჩნიათ და გაუნათლებლობის სადგურად სთვლიან. ზედა-პირულს გაქალაქებას, რასაკვირველია, თან მოჰყვა ჩაცმა-დახურვის გადასხვაფერება. ახალგაზდა გლეხის ნატვრასა და წადილს კინტოური ტანთსაცმელი შეადგენს. თქვენის თვალით უნდა ნახოთ ეს ახალგაზდა ტეტია ვიწრო ნაოჭიან-ჩიბუხიან ჩოხაში, მოკლე კალთებიან შავს ახალუხში და მეტად ფართო შარვალში გამოჭიმული თავისის მაღალ-ყელიან ჩუსტებით და ბრტყელ ღილებიანის ქამრით და მაშინ წარმოიდგენთ,—თუ რა უბედურება ეწია ჩვენს ძველებურს კოხტასა და დარბაისლურს ტალავარს!

ეს კიდევ არაფერი. სავალალო უფრო ის არის, რომ გაქალაქებულმა სამუდამოდ დაჰკარგა უწინდელი თავაზიანობა, ძველებური თავის დაჭერა და სიტყვა-პასუხი, სრულიად დაივიწყა ყოველივე, რაც საურთიერთო „ეტიკეტს“ შეადგენდა. შინ თუ გარედ, ლხინსა თუ ჭირში გაქალაქებული გლეხი „ქალაქელ ძმა-ბიჭს“ ჰბაძავს, კინტოს ზნესა და ჩვეულებას ჰხადის სახელმძღვანელოდ. თვით ლაპარაკის კილოც კინტოური გაუხდია. ქუჩური რუსული სიტყვები საუბრის შნოდ და ლაზათად მიაჩნია და ამით კიდეც თავი მოაქვს, პრანჭიაობს, კეკლუცობს. ამ ამბავს ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს. მესამე დასელნი-კი აძგარან და უბედურებას სხვაგან ჰხედავენ: „ივერიას“ უკიჟინებენ „ენის რეაქციას“— „ივერიის“ ენა არის ქართული ენის უკან დახევა, რეაქციაო“

---

*) ჩვენ აქ ზემოქართლის მტკვრის ნაპირად მდებარე სოფლები ავიღეთ მასალად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ექსპონატებთა შორის უფრო მეტის ყურადღების ღირსნი არიან ექსპონატები ამიერ-კავკასიის საოსტატო სემინარიისა. ამ ექსპონატებს გადაჰყავთ ჩვენი გონება იმ განაპირა ქვეყანაში, სადაც განათლება ახლად იღვიძებს და ფეხს იდგამს. საუცხოვო ექსპონატები ხსენებულის სასწავლებლისა ცხადათ გვიჩვენებენ, რომ იქ, იმ განაპირა ადგილას კულტურული და პედაგოგიური პრინციპები უფრო კარგა და სავსებით შეუგნიათ, ვიდრე სხვაგან სადმე. პედაგოგიურის აზრით არის მოფენილი ყოველი, თვით წვრიმალი მოვლენა სემინარიის ცხოვრებისა, რაც ცხადი მაჩვენებელია იმ გარემოებისა, რომ სასწავლებელში ყველაფერი კეთდება შეგნებულად, მოფიქრებით და არა უსულდგმულო ჩინოვნიკურად. სასიამოვნო სანახავია სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო, რომელიც კეთილსინდისიურ გულმოდგინებით მუშაობს, რათა მისცეს ლაზათი და გონივრული სიმარტივე რუსულ ხელთ-ნაწერ ასოებსა. სასიამოვნოა აგრეთვე, რომ მეცადინეობა საბჭოსი არა რჩება უნაყოფოდ. სხვა-და-სხვა გვარი ნაწერები მოსწავლეთა ცხადათ აჩვენებენ, თუ როგორის ერთგულებით სრულდება, ხორცს ისხამს სასარგებლო აზრები...“

ამიერ-კავკასიის საოსტატო სემინარია წლევანდელს გამოფენაშიაც თვალსაჩინო მონაწილეობას იღებს. მისი მრავალი და სხვა-და-სხვა გვარი ექსპონატები უკვე აწყვია გამოფენაზე. ამ ექსპონატებ შორის მეტის ყურადღების ღირსია სალღესასწაულო (საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო) ტემებზედ დაწერილი ვრცელი თხზულებანი მეორე კლასის მოწაფეებისა. როგორც მაგალითს დავასახელებთ აქ რამდენსამე ტემას: 1) „გავლენა რუსული ლიტერატურისა ქართულ მწერლობაზე“. 2) „გავლენა რუსულის განათლებისა ქართველების ოჯახსა და საზოგადოებაზე.“ 3) „პედაგოგიური გარემოებანი ქართველი ერის გონებითი და ზნეობრივი განვითარებისა მეცხრამეტე საუკუნეში.“ 4)—„თავადი ვორონცოვი და დაარსება ქართული თიატრისა და ქართული ჟურნალისა.“ 5) „ეკონომიური კეთილწარმატება კავკასიისა რუსული განათლების გავლენის გამო.“ 6) „ბოდბის მონასტერი და მისი მნიშვნელობა საქართველოსათვის.“ 7) „ივერიის ღვთისმშობლის ხატი, როგორც საშუალება ქართველებისა და რუსების ერთმანეთთან დაახლოვებისა.“

პირველი დირექტორი ამიერ-კავკასიის საოსტატო სემინარიისა იყო ბ. დივარი, მეორე დ. დ-ძე სემენოვი, შემდეგ ს. ნ-ძე სტრელეცკი და ბოლოს ა. ი-ძე სლოვინსკი, რომელიც ამ ჟამად დანიშნულ იქმნა კავკასიის სამოსწავლო ოლქის „ოკრუჟნოი ინსპექტორად“.

გორელი.

წერილი შავშეთიდგან.

ართვინი, 15 აგვისტო. ართვინი ბათუმიდგან 90 ვერსის მანძილზედა სძევს. ფოსტა კვირაში ერთხელ მოდის; ართვინის ხიდამდე ეტლით მოაქვთ და მერე ცხენებით აქვთ, რადგანაც გზები არ არის, აღმართებია. გ. ყაზიბეგის ცნობით, ართვინი 10 ათასი ფუტის სიმაღლეზედ სძევს; მცხოვრებთა რიცხვი 2000 კომლამდეა, უმეტესად კათოლიკენი, გრიგორიანები და ქართველი მაჰმადიანები მცირეა. კათოლიკეებში დიდი ძალი ქართველი კათოლიკენი მოიპოვებიან, მაგრამ ამათში ქართული ენა დავიწყებულია ისრევე, როგორც ქართველს მაჰმადიანებში. დღეს ართვინში მცხოვრებმა ქართველმა კათოლიკეებმა და ქართველმა მაჰმადიანებმა სიტყვა, კრინტი აღარ იციან თავიანთის დედა-ენისა.

მაგალითს მოგახსენებთ: ართვინში, სხვათა შორის, არის ერთი ბაზაზის მაღაზია, რომელსაც გარედგან აწერია რუსულად „მაღაზია ალ. ალანიძესი.“ მე ესენი ქართველები მეგონნენ; შეველ მაღაზიაში, ქართულად დავეკითხე და მათ-კი მომიგეს, ქართული არ ვიცით, რუსულად ან თათრულად გველაპარაკეთო. მაშინ მაღაზიის გარედ დაწერილი გვარის ამბავი ვკითხე და მითხრეს: დიახ, ადრე ქართველები ვყოფილვართ, მაგრამ ახლა თათრები ვართო. ასეთი მაგალითიკი ბევრია.

ართვინი ოლქის ქალაქად ირიცხება, არის ოლქის უფროსი, ბოქაული და ნაწილის უფროსი. მომრიგებელ მოსამართლის გამგეობა აქ არ არსებობს, მუსულმანთა საქმეებს „მეჯლიში“ არჩევს და ქრისტიანებისას ოლქის სამმართველო და ბოქაული.

ქალაქის მოხელე და მოსამსახურეთა შორის ქართველებიც არიან და ამიტომ ბევრს კათოლიკს შაუსწავლია ქართული ლაპარაკი. ქართული ენის აღდგენის საქმეს აქეთ ძრიელ ხელს უწყობენ მარადიდელი მენავეები, რომლებიც ლივანიდგან ამოდიან აქ, თან კახაბრიდგან საქონლით დატვირთული ნავები ამოაქვთ და მერე ართვინიდგანაც ხალხითა და საქონლით დატვირთულები მიდიან ბათუმში. მთელი ამ ქალაქის ვაჭრები, მოხელეები, შავშეთის სოფლის ხალხი და სხვანიც სულ ამ ნავებით ჩადიან ბათუმში. ნავები ბათუმის ახლოს კახაბერში ჩერდებიან, რადგანაც ზღვაში ვერ შევლენ; ჭოროხს ნავები ერთობ შორს მიაქვს თავის ტალღებით და ამიტომ შეიძლება ნავი ადვილად დაიღუპოს. ლივანელნი და მარადოელნი ნაოსნობასა და გემისნობაში მეტად მობერხებულნი არიან; ამათგან ართვინის ახლო-მახლო მთელს დღეს სულ ქართული ენა გაისმის. ართვინის ახლოს მდებარე სოფ. სანქოთიდგან-კი ქართული ენა იწყება ქართველ მაჰმადიანთა შორის და იგი დასავლეთამდე მიემართება.

ართვინში კათოლიკეთ აქვთ ოთხი ეკლესია. ამათგან კორძულის ეკლესია ყველაზედ ძველია. ამ ეკლესიას აქვს ქართული გუჯრებიც, რომლებიც 1501 წ. პაპს სიქსტო მესამესაც დაუმტკიცებია. გუჯრები მამულების შენახვის საქმეს შეეხება, იმ დროის კათოლიკეთ კორძულის ეკლესიისათვის მამულები შეუწირავთ და შეწირვის გუჯრებიც ქართულად უწერიათ.

აქ კათოლიკეთ ბევრმა იციან, რომ ისინი ქართველთა შთამომავალნი არიან. ასეთი მოხუცნი მეც ვნახე და აღიარეს, რომ ძველად „ქართველ კათოლიკენი ვიყავითო“. კორძული ამ ეკლესიას მიტომ დაერქვა, რომ ეკლესიის განახლების დროს, კარის ალაგას ძველი კარები ჩაეტანებინათ და მისგან წარმომდგარა კორძულიო, ძველად-კი „კარ-ძველი“ ერქვაო.

დანარჩენი ეკლესიებიც ძველია; მესამე ეკლესიას ეხლა აშენებენ ძველის ეკლესიის ალაგას. სომხებს აქვთ ართვინში ერთი ეკლესია, ესეც ძველი ეკლესიაა. საყურადღებოა ის, რომ ამ ეკლესიაში ინახება ერთი ძვირფასი ქართული ძველი სახარება, ხუცურად ნაწერი ძვირფასს პერგამენტზედა და ძვირფასადვე შემკული. იგი ძვირფასი განძია ჩვენის ისტორიისათვის ლიტერატურისა და ნამეტურ პალეოგრაფიის მხრივ. როგორც სახარების ერთი წარწერა ჰმოწმობს, იგი გადაუწერია იშხნელს ეპისკოპოზს მაკარის, დაახლოვებით XI საუკუნის ნახევარში. ამ სახარებამ ადრე მრავალთა ყურადღება მიიპყრო. აქ გახლდათ ამისთვის განსვენებული დ. ბაქრაძე, გრიგოლ გურიელმა სყიდვა მოინდომა და 500 მან. აძლია, მაგრამ არ გაყიდეს, შემდეგ მეტიც აძლიეს, მაგრამ არა ჰქნეს, გასყიდვა არ შეიძლებაო.

იმ ხნის საეპისკოპოზო ტაძარი დღეს საქართველოს იმ კუთხეში სძევს, რომელიც ჯერედ კიდევ ოსმალეთს უჭირავს. დღეს იგი ოსმალეთის საკუთრებას შეადგენს და ჯამეთ არის გადაკეთებული, გათათრებულ ქართველები ლოცულობენ.

იშხნის ხეობის ახლოს სძევს ხახულის ხეობა, სადაც დიდებული ტაძარია ხახულისა. რაც გელათში ნივთებია, ხახულის ხატი და სხვანი გათათრების დროს სულ აქედამ არის გადმოტანილი. ესეც ჯამეთ არის გადაკეთებული.

მესამე პარხლის ეკლესიაა უგუმბათო, მშვენიერი; ესეც ჯამეთ არის გადაკეთებული. ამ სამს ეკლესია-

---

(„ქართული პრესა“, გვ. 108). დიაღ, ამას გვისაყვედურებენ „მოწინავე მოღვაწენი“, თუმცა თითონ გაქალაქებულ ჟარგონს ჰხმარობენ და მშვენიერ ენადაც ესეთი ჟარგონი ჰქონიათ.

ჰო, იმას ვამბობდი, რომ გლეხის აწინდელი გაქალაქება კინტოობის სახით მოგვევლინა და გაქალაქებული გლეხი მთლად ტრაქტირისა და ქუჩის გავლენამ დაიმონავა. ჯერ მეორე გავლენას, სახელდობრ „გასალდათებას“ თავი არ უჩენია, ნაყოფი არ მოუტანია. უეჭველია, როცა გაქალაქებას ეს ახალი ძალაც ზედ დაერთვის, მაშინ სხვა ტიპი დაიბადება და აღიზრდება. მაგრამ ჩვენ აწინდელს სინამდვილეს ვხატავთ და მომავალთან საქმე არა გვაქვს.

ისევ ზნეობას უნდა დავუბრუნდეთ. სამწუხარო და საუბედუროდ ცვლილება მეტადრე ამ ზნეობის სამეფოში აღმოცენილა. ისტორიიდგან გეცოდინებათ, რომ არა თუ ჩვენი დიდ-კაცობა, თვით გლეხობაც განთქმული იყო თავისის ზრდილობით, რომელიც ძველად აღზრდის დარგს შეადგენდა. სპარსელებმა და იმათზედ მეტად უფრო არაბებმა დიდი ზედ-მოქმედება იქონიეს ქართულ ზრდილობის აღორძინებაზედ. არაბთა გავლენით და მეოხებით ზრდილობიანი საურთიერთო მუსაიფი და მასლაათი, საეტიკეტო სიტყვა-პასუხი მთელ ევროპასა და აზიაში გავრცელდა. საქართველოშიაც ეგრე მოხდა. და მართლაც, ჩვენი ძველებური ზრდილობა სამაგალითო იყო. იგი აღნიშნეს თვით უცხოელმა მწერლებმაც. ახლაც ხშირად შეხვდებით ძველის თაობის გლეხს, რომელიც თავისის ზრდილობით და სიტყვა-პასუხით სიამოვნებასა და სიტკბოებას ჰფენს თქვენს სულსა და გულსა. მაგრამ გაქალაქებულს, გაკინტოებულს ახალთაობას უკუ უგდია ეს სიტყვიერების საუნჯე და უზრდელობის უფსკრულისაკენ მიესწრაფება. უწმინდური და უშვერი ლაპარაკი, უზრდელი და ბრიყული ლაზღანდარობა, უსირცხო და ურიდი „თავის შექცევა“ „გაქალაქებულთა გვამთა“ საჭიროებად შექმნილა, თითქო მოთხოვნილებად გარდაქცეულა. არ უნდა დაივიწყოთ, რომ ყველა ამას შესაფერი ქცევაც თან სდევს. სარწმუნო კაცთა გვიამბეს, რომ ზოგს სოფელში გაქალაქებულნი „ბიჭ-ბუჭნი“, სიმთვრალისაგან თავ-გზა დაბნეულნი, ღამე ორღობებში და ქუჩა-ქუჩად შიშველ-ტიტველნი დუდუკით დასეირნობენ... თან ჯამით არაყს სმენ! როგორ მოგწონთ ეს სურათი?! აი სადამდე მიაღწია სოფლის გაქალაქებამ!..

ამ ზნეობრივს გახრწნილებას ებრძვის ძველი თაობა, მაგრამ ვერაფერი გაუწყვია. გარეგანმა გაქალაქებამ ისეთი ძალუმი და შეუდრკელი იერიში მიიტანა ძველებურს მაღალ ზნესა და ზრდილობაზედ, რომ მდგომარეობა მართლა დასაფიქრებელი შეიქმნა. ზნისა და ზრდილობის შელახვამ შეარყია ის ურთიერთი დამოკიდებულება, რომელიც აკავშირებს დიდსა და პატარას, უფროსსა და უმცროსს, ხნიერსა და ჭაბუკს. წინად ჭკვათა მყოფელს და გამოცდილს სოფელში დიდი პატივი ჰქონდა. არც ერთი საქმე არ კეთდებოდა მოხუცების დაუკითხავად. სოფლის კარგი და ავი ჯერ ამათ უნდა განეხილათ და აეწონ-დაეწონათ და მხოლოდ ამის შემდეგ სოფელი უნდა შესდგომოდა საერთო საქმეს. მოხუცის სიტყვა თითქმის კანონად ითვლებოდა, უფროს-უმცროსობა აღიარებული იყო ურთიერთობის საფუძვლად. შეიძლება, რომ ასეთი ურთიერთობა პოლიციურის თვისებისაც იყო და იქმნება პიროვნულს თავისუფლებას და თავოსნობას კიდეც ავიწროებდა და ზღუდავდა, მაგრამ „ზნეობრივს ავტორიტეტს“ მაინც სიკეთე მოჰქონდა. ამ ავტორიტეტის წყალობით სოფელში წესი და რიგი არსებობდა, დისციპლინა სუფევდა. ახლა თავისუფლების ალვირი აუწყვეტია და თვითნებობად გარდაქცეულა! რასაკვირველია, სოფლის ბედიც უკულმა დატრიალებულა. თვითეული კერძოდ და ყველანი საერთოდ ცალ-ცალკე მიიწევენ, შემაერთებელი ზნეობრივი ძალა აღმოფხვრილა და ამის გამო სოფელში უთავბოლობა და უგზოუკვლობა გაბატონებულა.

დიაღ, სოფლის ზნე იცვლება და იშლება და ამ მოვლენამ უნდა მიიპყრას ინტელიგენციის ყურადღება. წინედ სოფელი თავისს თავისთვის თითონ ზრუნავდა. ახლა-კი—ზრუნვას ვინ-ღა სჩივის— ცხოვრების საგანიც-კი ვერ შეუგნია, საზოგადო მოურნეობა და პატრონობა ვერ გაუთვალისწინებია. თუ საერთო და საქვეყნო რამე კეთდება, უფრო გარეშე ძალის გავლენით, პოლიციის მეოხებით. პიროვნული და საზოგადო თვით-მოქმედება თითქმის არსად და არაფერში სჩანს. ყველა ხსნასა და შველას პოლიციისაგან მოელის. თუ სოფელმა ამ გზით იარა, თქვენი მტერი, რომ იმას საქმე დაემართება...

თუ სადამდე გათახსირებულა სოფლის თაოსნობა და პატრონობის უნარი, ამას ერთი ამბავიც გვიჩვენებს. ამ ზაფხულს ჩემი ყურადღება მიიქცია, სხვათა შორის, სოფლის ბოსტნეულებმა. წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როცა ვნახე, რომ კიტრს, ნესვს და სხვა ამგვარ მცენარეულობას აღარ სთესვენ. და მერე იცით, რატომ არა?—პარვა და ტაციობა ჭირად და სენად გარდაიქცა, მე-კი არას დამანახვებენ და ტყუილად რად დავთესოვო!?.. მართლაც და, წვრილმანი ქურდობა საოცრად გავრცელებულა და სოფლის კეთილ-დღეობას ჰღუპავს და ამხობს. პატრონობა-კი არსად არის! სოფელი თვალსა და წარბში თავისს მოხელეებს შესცქერის, ცხონებას იმათგან მოელის, მაგრამ ვინ არ იცის, რომ პოლიციური მზრუნველობა ვერაფერს იზამს.

თუ აწინდელს სოფელს თაოსნობა და თვით-მოქმედება არ მოეპოება, ამის მიზეზი ზნეობრივი დაუძლურებაა. უმთავრესი ფაქტორი ზნეობრივის წარმატებისა ხასიათია, რომელიც, ერთის მეცნიერისა არ იყვეს, ისტორიას ჰქმნის. წინად სოფელი მდიდარი იყო ხასიათის კაცებით. ახლა-კი მაყურებელს სამწუხარო სურათი ეხატება,—როგორც ბევრი სხვა რამე, ხასიათიც დაწვრილმანებულა, დახურდავებულა. ახალთაობაში ძვირად მოიპოვება მაღლისა და მრთელის ხასიათის კაცი, რომელიც თავისის თავის ბატონიც არის და მსახურიც, მბრძანებელიცა და აღმსრულებელიც როგორც თითქმის ხორცით, ისრე სულით, როგორც ზნით, ისრე ხასიათით ეს ახალი თაობა დაკნინებულა და მთლად დაჩიორებულა. ასეთი ახალი თაობა მხოლოდ მონა არის ჟინისა და თვითნებობისა და მაშ რაღა საკვირველია, რომ სოფლის ზნეობრივი ყოფა შავით და ბნელით მოცულია. ამ შავსა და ბნელს მხოლოდ თითო-ოროლა მოხუცი ხასიათის კაცი თუ ჰფენს ნათელსა, მაგრამ როდემდე?!..

Plebs.

ზედ ძრიელ ბევრი ამბებია დარჩენილი აქაურს მაჰმადიანებში. მართლაც, შესანიშნავი ტაძრებია, დიდრონი, უზარ-მაზარი, თლილის ფერადის ქვებით, შიგნიდგან კენჭებით მორთული; ნამეტურ შესანიშნავია ხახულის ტაძარი და ხახულის ხეობა. ჩვენებური ხახუტაშვილები აქედან ყოფილან მანდეთ წარსულნი. ამ ეკკლესიების მოხდენილობას კაცი ვერ აგიწერთ, განცვიფრდება. ამ ეკკლესიებში რომ მუსულმანებმა ლოცვა არ მოშალონ, კარგი იქმნება, დიდხანს დარჩებიან უვნებლად. ძრიელ დაძველებულან-კი. გარდა ამისა, ბევრი სხვა ნაშთებიც არის, მაგრამ ყველას სად ავწერთ.

მუსულმანებს ართვინში აქვსთ ერთი დიდი ჯამე. ჯამე სდგას სწორედ იმ ალაგას, სადაც ძველად ქართველების ართვინის ტაძარი იდგა; ზედ მისს საძირკველზედა სდგას ეს დიდი ჯამე. მეორე ჯამე კორუელში აქვთ; მუსულმანების აქ სხვა არაფერია დაშთენილი და რიცხვიც შემცირდა, რადგანაც 1879 წ. შემდეგ ოსმალეთში მრავალნი გარდასახლდნენ.

ვახუშტის გეოგრაფიულის ცნობებით ართვინი ქრისტეს წინედ არის დაარსებული ქართველთა მეფეთაგან. ძველად ამ ქალაქს „ართვანი“ თურმე ერქვა, რადგანაც ძრიელ მაღლა სძევს.

ქალაქში ვაჭრობა რიგზედ სწარმოებს, არის ორი სასტუმრო, ყავახანები, სხვა-და-სხვა მაღაზიები და სახელოსნოები. აქაური კათოლიკის, სომხისა და ქართველ მაჰმადიანთა ქალები თათრულად იცმენ, შუბლზედ ოქროს ფულები აკრავთ და სიცხეებშიაც-კი ხავერდისა და შალის ძვირფასს ტანისამოსში არიან გახვეულნი. ამის გარდა, ზაფხულის მშრალს დღეებშიაც ფეხსაცმელზედ კალოშები აცვიათ! სანოვაგე ძვირად არ ფასობს. ართვინში ოსმალოს ვაჭრები და მუშებიც მოდიან.

ოსმალოს საზღვარი სულ 10 ვერსზეა. ართვინიდგან ერთი გზა არდანუჯს მიდის; ამავე გზით მიდიან არტაანს (არდაგანი), უარს, არზრუმსა და სპარსეთს. მეორე გზა შავშეთს, აჭარისა და ბათუმს გადადის, მესამე ლაზისტანსა და მეოთხე ოსმალეთის სამფლობელო საქართველოს ადგილებში.

ერთი საკვირველობა აქ ის გახლავსთ, რომ ართვინს იქით, ოსმალეთის საქართველოში, ქართველი მაჰმადიანები ქართულს ენაზე ლაპარაკობენ და ართვინს აქეთ-კი, მარცხნივ და მარჯვნივ აღმოსავლეთიდგან დასავლეთამდე, ართვინამდე, მთლად თათრულს ენაზედ საუბრობენ ქართველი მაჰმადიანები. ოსმალეთის მაჰმადიანი ქართველები უფრო კარგა საუბრობენ ქართულს, ვიდრე აქეთა მხრისა, სადაც-კი ქართული ენა შენახულა. ქართული ენა მოსპობილია მთელის ქართლ-კახეთის ტოლა ადგილებში. ბევრს ადგილებს სრულიად არ ვასახელებთ. მთლად-კი ოსმალეთის წინადყოფილი და დღემდე დაშთენილი ადგილების ზომა ნახევარ საქართველოზედ მეტს შეადგენს და ასევე მის კვალობაზედ ქართველი ტომის ერიც იქმნებოდა. ქართული ენა ბურსამდე და თვით დიარბექისამდესაც ისმის.

ართვინის ოლქი წყლებითა, ხეტყითა და მცენარეებითაც მდიდარია; ჰავაც კარგია, მოსავალიც კარგი იცის, ხილიც განთქმულია, ყურძენიც და ღვინოც კარგი იცის; უმეტესად პურს, სიმინდსა და ქერსა სთესენ. მადნების მხრივაც ძრიელ მდიდარია ეს მხარე. დღეს აქეთ რამდენიმე კამპანიაა, ევროპიდგან მოსული და სხვა-და სხვა მადნის პატრონებთან მოლაპარაკება აქვთ, მადნის მთებს ყიდულობენ. ერთისაგან კიდევაც იყიდეს ბურლულის ხეობაში 700 ათას მანეთად, სოფ. დაცულის. დღეს ამ სოფ. ძანცუის უწოდებენ, ართვინის ოლქს ეკუთვნის.

ზ. ქ.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

—

საკვირველ ამბავს გადმოგვცემენ გაზეთები: ინგლისელებს მთელი ერთი როტა ჯარი დაუკარგავთ—300 კაცი. ეხლა ამ ჯარს გულმოდგინეთ დაეძებენ სამხრეთ აფრიკაში. გამოკვლევის შემდეგ დარწმუნდნენ, რომ ეს როტა არც მტერს ჩავარდნია ტყვედ და არც ბრძოლის დროს დახოცილა. საქმე ესე მომხდარა. ამ რამდენისამე თვის წინად იორკშირიდგან ლონდონში მისულა ერთი კაცი, ხელობით ეზოს მცველი, და სამხედრო სამინისტროსათვის წინადადება მიუცია, თავისუფალ მებრძოლთაგან ერთ როტა ჯარს შევადგენ, თუ იმის უფროსად დამნიშნავთო. ცოტაოდენის ყოყმანის შემდეგ, სამინისტროს თანხმობა გამოუცხადებია და გრიგს, ესე ეძახდნენ ახალ კაპიტანს, ლონდონში ჩაუყვანია სამასი კაცი—იორკშირელი გლეხები და ქარხნის მუშები. მალე ეს როტა შემოსეს და სახელიც დაარქვეს. ამ დღიდგან როტა სადღაც დაიკარგა; ბევრი ეძებეს, მაგრამ ყოველმავე ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. პირველად ეგონათ, რომ როტა სამხრეთ აფრიკაში წავიდა და კიმბერლეიშიაო, მაგრამ როდესაც ამ ქალაქში შეეკითხნენ, ამბავი მოვიდა, რომ არავითარი როტა არ გვინახავს აქაო. იორკშირშიაც არ აღმოჩნდა ეს როტა. ამის და მიუხედავად, რამდენსამე ხნის შემდეგ სამხრეთ აფრიკიდგან ამ როტის ზოგიერთა ჯარის-კაცთაგან წერილები მოვიდა, რომლებშიაც იუწყებოდნენ ბრძოლების და შეტაკებების შესახებ, მაგრამ არ იტყობინებოდნენ, სად იყო ეს როტა, სადა ჰქონდა მას ბრძოლა, ასე რომ ვერაფერი ვერ გაიგეს. უკვე მთელი წელიწადი გავიდა და სამხედრო სამინისტრომ დღესაც არაფერი უწყის ამ უცნაურ როტის შესახებ.

⁂

შეერთებულ შტატებსა და იაპონიას გადაუწყვეტიათ საერთაშორისო ომი გამოუცხადონ ვირთაგვებს. როგორც ვუწყით, შავის ჭირის გავრცელების საქმეში ვირთაგვას საპატიო ადგილი უჭირავს. აი ამის გამო განუზრახავთ იმათთან ბრძოლა შტატებსა და იაპონიას. მათ უკვე დაუდგენიათ მიჰმართონ სხვა სახელმწიფოებს და სთხოვონ ამ ომში მონაწილეობის მიღება.

⁂

ინგლისის მეფე ედუარდ მერვე ძალიან დავალიანებულა თურმე. ამ ჟამად ედუარდს, თითქმის 400 მილიონ მცხოვრების მეფეს, 20 მილიონ ფრანკამდე ვალი აქვს. მეფეს გადაუწყვეტია ეხლა ყაირათი გასწიოს და ხარჯს ძალიან დაუკლოს, რომ ეგებ 12 წლის განმავლობაში ვალები გაისტუმროს.

⁂

ამ ბოლოს დროს სპეციალურ ჟურნალებში ბევრს ლაპარაკობენ ხელსახოცის მავნებლობის შესახებ. ბევრი მკურნალი ამტკიცებს, რომ ხელსახოცის წყალობით მრავალი სენი და ავადმყოფობა ვრცელდებაო. უმჯობესად სთვლიან ტილოს ხელსახოცების ნაცვლად ქაღალდისა იქმნას შემოღებული.

⁂

უდიდესი სატელეგრაფო ბიურო ლონდონში არსებობს. ყოველ დღე ამ ბიუროდგან 140-დგან 150 ათასამდე დეპეშა იგზავნება. ამ ბიუროში 1,226 სატელეგრაფო და 200 სატელეფონო აპპარატია. ლონდონის ტელეგრაფში 4 600 კაცი მსახურობს, აქედგან 1,200 ქალია, ტელეგრაფის დამტარებელი 880 კაცია.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

—

პეტერბურგი. 11 სექტემბერს პეტერბურგში დაბრუნდა დიდი მთავარი პავლე ალექსანდრეს-ძე.

მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი უავგუსტოესის შვილებითურთ, დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული და პრინცი პეტრე ალექსანდრეს ძე ოლდენბურგისა სპალაში წაბრძანდნენ.

ს.-პეტერბურგის ქალაქის უფროსმა სავალდებულო დადგენილება გამოაცხადა იმის შესახებ, თუ კვირა-უქმე დღეებში ვაჭრობა რა დროს უნდა სწარმოებდეს. ყველა სავაჭრო სახლები და ხელზედ მოვაჭრენი კვირა-უქმე დღეებში მხოლოდ ნაშუადღევის 1—5-მდე უნდა ვაჭრობდნენო. ახალი დადგენულება სექტემბრის 28 შევა ძალაში.

სარატოვი. საბირჟო კომიტეტის გამოანგარიშებით, მთელს სარატოვში 6 მილიონამდე ფუთი ხორბალი თურმეა; ამათგან მომეტებული პურია. ფასები ძირს იწევს. შემოდგომის ნათესები კარგებია.

მოსკოვი. მოსკოვსა, კრეიცბურგსა, ნოვოსოკოლნიკსა და ტუკუმ-ვინდავას შუა სწორე მიმოსვლა სამოგზაურო და საქონლის მატარებლებისა 11 სექტემბერს დაიწყო. რკინის გზა გაყვანილია 1,015 ვერსის მანძილზედ.

ბელგრადი. ოფიციალურს გაზეთში გამოქვეყნებულია მეფის ბრძანება, რომელიც სკუპშჩინასა და სენატს 1-ლ ოქტომბრისათვის მოიწვევს ბელგრადში.

კოპენჰაგენი. დანიის გემმა „კაიმ“ დილით რუსეთის გემი „Курляндія“ მოიტანა, რომელიც ბალტიის ზღვაში თურმე დადიოდა უმწეოდ, ბურღ-დაკარგული.

ჰელზინგერი. საუზმის შემდეგ, რომელიც „ოსბორნზედ“ იქმნა გამართული, სამეფო სახლობის წევრნი ინგლისის მეფე-დედოფალს გამოემშვიდობნენ და გემიდგან გადვიდნენ. პრინცი კარლოსი და პრინცესსა ვიქტორია გემზედ დარჩნენ და მეფე-დედოფალს კილამდე მიაცილებენ. „ოსბორნი“ ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზედ წავიდა.

12 სექტემბერი.

პეტერბურგი. გარეშე საქმეთა მინისტრი გრაფი ლამზდორფი პეტერბურგში დაბრუნდა და სამინისტროს მმართველას შეუდგა.

მოსკოვი. სრულიად რუსეთის საუქციონო გამოფენაზედ პირველს დღეს 15,000 მან. იქმნა აღებული. გაიყიდა სულ 68 ცხენი და ამათგან მხოლოდ ერთში მისცეს ათას მანეთზედ მეტი.

კიევი. ორლოვის მამულში, სამთა წმიდათა ეკკლესიის მახლობლად, ძვირფასი განძი იპოვნეს მიწაში დიდის სამთავროს დროისა—ოქროსი და ვერცხლის საყელურები, საყურეები, ქსოველების ნაშთი; ზოგიერთს ემალის ნიშნები ატყვია. განძი ქილით იპოვნეს, სულ 60 ნივთამდე. დნეპრმა იმატა.

კილი. საღამოს 9 საათზედ ინგლისის მეფე დედოფალი საგანგებო მატარებლით ინგლისში დაბრუნდნენ. პრინცმა და პრინცესსა ირენამ მათნი უდიდებულესობანი ვოკზლამდე გააცილეს.

ბუფფალო. ნახევარ საათის ბჭობის შემდეგ სასამართლომ ჩოლგოსი მკვლელობაში დამნაშავედ სცნო.

ბუფფალო. ჩოლგოსის საქმე. მოსამართლემ გამოაცხადა ნაფიცმსაჯულთა მიერ საქმის გარჩევის შემდეგ, რომ განაჩენი ხუთშაბათს იქმნება გამოცხადებული.

ბუფფალო. სასამართლოს განაჩენით ჩოლგოსი მკვლელობაში დამნაშავედ იქმნა ცნობილი; ჩოლგოსი ამერიკის კანონით სიკვდილით უნდა იქმნეს დასჯილი.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 6 მაისიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 11 წამ. (10 საათ. და 9 წამ.), ბათუმში ჩავა საღამოს 7 ს. 58 წ. (8 ს. 56 წ.)

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ., ბათუმში ჩავა დილის 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 57 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.)

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 7 დღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დილის 9 ს. 17 წ. 10 ს. 15 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 1 ს 48 წ. (12 ს. 46 წ.), ბაქოში ჩადის დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.),

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 8 ს. 18 წ. (9 ს. 16 წ.), ბაქოში ჩადის დღის 11 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.).

ტფილისიდან ყარსში:

ფოსტის მატარებელი საღამოს 10 საათ. 10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 3 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

სწრაფი—მატარებელი № 2 საღამოს 9 ს. 42 წ. (10 ს. 43 წ.). ტფილისში ჩამოდის დილის 7 ს. 57 წ. (8 ს. 55 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 საღამოს 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 38 წ. (8 ს. 36 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით დილის 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.). ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.), ტფილისში მოდის დღის 4 ს. 13 წ. (5 ს. 11 წ.

სამგზავრო მატარებელი № [illegible] დღის 12 ს. 27 წ. (1 ს. 25 წ.) ტფილისში მოდის დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 8 ღამის 1 ს. 5 წ. (2 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.)

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი დღის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.).

სააგარაკო მატარებლები:

საგარაკო მატარებელი № 18 მცხეთიდგან ტფილისში საღამოს 5 ს. 22 წ. (6 ს. 20 წ.), ტფილისში ჩამოდის 6 ს. 1 წ. (6 ს. 59 წ.).

საგარაკო მატარებელი № 20 მიხაილოვიდგან ტფილისში საღამოს 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს (10 ს. 14 წ. (11 ს. 12 წ.)

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 15 ამა სექტემბერს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით, **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ხელ-ახლად მოკირწყლა და დაგეგმვა წყნეთის ქუჩისა ბრევნოვოზის ქუჩიდგან ვარაზის ხევამდე, სიგრძით 154,4 საჟენი, სიგანით—4 საჟ., სულ ადგილი 625 ოთხ-კუთხი საჟენია; გაიცემა აგრეთვე მიწის სამუშაო 173 ოთხ-კუთ. საჟენი. სამუშაო სულ 2,252 მან. 26 კაპეიკისაა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, 9 საათ. 3 საათამდე.

(3—6.—1).

გამოვიდა და ისყიდება ქუთაისში ყველა წიგნის მაღაზიაში და ტფილისში — „წერა-კითხვის გამავრ. საზ.“ მაღაზიაში

„თხზულებანი გრ. აბაშიძისა“,

ავტორის სურათით, ფასი სამი აბაზი, ქუთათურის ამხანაგობის გამოცემა, № 16.

როგორც ეს, აგრეთვე ამხანაგობის სხვა გამოცემანი მყიდველთ შემდეგს ფასებად დაეთმობათ:

ვინც ნაღდ ფულად იყიდის წიგნებს, დაეთმობა 30% (მანეთზედ ექვსი შაური); ვინც ას ცალზე მეტს იყიდის, დაეთმობა 35%, ხოლო ვინც საკომისიოთ წაიღებს, მიეცემა 15%.

იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდათ „ზღაპრები“, შეკრებილნი ძმ. გრიმების მიერ.

ამასთან გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ამხანაგობის წევრებს, აგენტებს და ყველა გულშემატკივართ, რომ დაეხმარონ მას, როგორც საწევრო, ან გაყიდული წიგნების ფულის წარმოგზავნით, ისე დასაბეჭდი მასალების მოწოდებით.

(5—6.—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12-го Сентября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.